პანდემიის პერიოდში უსახლკაროთა მიმართ გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება

მარტი, 2021

პანდემიის პერიოდში, დაავადების გავრცელების წინააღმდეგ, სახელმწიფოს წამყვანი რეკომენდაცია მოსახლეობის სახლში დარჩენაა. მიუხედავად ამისა, უსახლკარო ადამიანებმა ვერც ამ პერიოდში შეიძინეს გამოკვეთილი აქტუალობა და ადგილი სახელმწიფო სოციალურ სისტემაში. 2020 წლის მაისის თვეში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა კორონავირუსით გამოწვეული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი პროგრამა, რომლითაც შეიქმნა პანდემიის დროს ყველაზე მეტად დაზარალებული ჯგუფების მიზნობრივი დახმარებები. გარდა ამისა, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა, აღნიშნული პროგრამის მიღმა განსაზღვრეს ადგილობრივ უსახლკაროთა საჭიროებებზე საპასუხო ღონისძიებები.

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს, შეაფასოს პანდემიის პერიოდში უსახლკარო პირთა მიმართ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა და კორონავირუსის შედეგების შემსუბუქების ღონისძიებები.

1.უსახლკარობა დახმარების მიღების კრიტერიუმებს შორის ვერ მოხვდა

მიუხედავად პანდემიის პირობებში საცხოვრისის უზრუნველყოფის ცხადი აუცილებლობისა, პანდემიით გამოწვეული ზიანის შემსუბუქების პროგრამაში, დახმარების მიღების კრიტერიუმად არ განსაზღვრულა უსახლკარობა. წლების განმავლობაში, სახელმწიფო ვერ ხედავს უსახლკარო ჯგუფების მრავალფეროვნებას და ინდივიდუალურად არ სწავლობს მათ საჭიროებებს[1]. აღნიშნული მიდგომა ვერ შეცვალა ვერც პანდემიამ. პანდემიის შედეგების შესამსუბუქებლად სახელმწიფო დახმარების, კერძოდ ფულადი კომპენსაციის მიღების უფლება მოიპოვეს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა შესაბამისი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებმა (ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად). ასევე ოჯახებმა, რომელთაც ჰყავდათ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვი. გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა. სწავლა დაუფინანსდათ ასევე სოციალურად დაუცველ სტუდენტებს.[2] ამ ჯგუფებს შორის შესაძლოა ვიხილოთ ასევე საცხოვრისის საჭიროების მქონე/უსახლკარო პირები, თუმცა ცხადია, რომ დახმარების პროგრამა არ მიემართებათ უშუალოდ უსახლკარო პირებს, მიზნად არ ისახავს უსახლკაროთათვის პანდემიის შედეგების შემსუბუქებას. ამაზე მეტყველებს თავად ის ფაქტიც, რომ დახმარება მხოლოდ ფულადი სახისაა. ფულადი დახმარების გარდა, პანდემიის პირობებში უსახლკარო ადამიანებს მწვავედ უდგათ უსაფრთხო, დაცული და სანიტარულ ჰიგიენური პირობებით უზრუნველყოფილი სივრცის საჭიროება.

2. **პანდემიის პერიოდში არ მომხდარა უსახლკარო პირთა აღრიცხვა და სტატისტიკის შედგენა** ის ფაქტი, რომ უსახლკარობა სახელმწიფო დახმარების მიღების წინაპირობა არ ყოფილა, ნაწილობრივ იმის შედეგიცაა, რომ წლების განმავლობაში არ ხდება უსახლკარო პირთა სტატისტიკის წარმოება და აღრიცხვა. არსებული მუნიციპალიტეტების მხოლოდ ნაწილი აწარმოებს საცხოვრისის საჭიროების მქონე პირთა სტატისტიკას, თუმცა, არც ამ სიების ინტეგრირება ხდება საერთო ეროვნულ ფორმატში[3]. სტატისტიკისა და ელექტრონული აღრიცხვის

---

[1] სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში. თავი: 17 სათანადო საცხოვრებლის უფლება. გვერდი: 294. იხილეთ აქ: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf ბოლოს ნანახია: 04/03/2021.

[2] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის № 286 დადგენილება „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“

[3] სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში. თავი: 17 სათანადო საცხოვრებლის უფლება. გვერდი: 296. იხილეთ აქ: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf ბოლოს ნანახია: 04/03/2021.

აუცილებლობა კი უფრო მკაფიო და ცხადი გახდა პანდემიის პერიოდში, როდესაც, დახმარების მიმღებთა სიების გენერირება და დახმარებათა ადმინისტრირება, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სახელმწიფო ელექტრონული ბაზების მეშვეობით განხორციელდა.[4] უსახლკარო პირთა მოძიება, აღრიცხვა, ერთიანი ბაზის შექმნა და სერვისების ამ ბაზაში მოხვედრილ მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგება, არ ყოფილა ამ პროცესის ნაწილი, შესაბამისად, უამრავი მოქალაქე პანდემიის პერიოდში ისეთი სერვისების მიღმა დარჩა, როგორიცაა უსაფრთხო სივრცე პანდემიის განმავლობაში იზოლაციისათვის, სანიტარულ-ჰიგიენური საჭიროებების დაკმაყოფილება, წამლებსა და პრევენციულ სამედიცინო ინვენტარზე ხელმისაწვდომობა, კვალიფიციური სამედიცინო დახმარება და სხვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო სერვისების სიმწირისა და არაადექვატურობის პირობებში, წლიდან წლამდე უცვლელი რჩება იმ პირთა ოდენობა, რომელთაც მუნიციპალიტეტებს საცხოვრისის მოთხოვნით მიმართეს.[5] ოფიციალური სტატისტიკის არ არსებობის პირობებში, მიმართვიანობის რიცხვი, არასამთავრობო სექტორისა და დარგში მომუშავე სპეციალისტებისთვის, უსახლკარობის მასშტაბის შეფასების ერთადერთი წყარო- მომავალში ვეღარ გამოკვეთს უსახლკარობის მასშტაბის ბუნდოვან სურათსაც კი.

3. **პანდემიის პერიოდში, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაცია და თანამშრომლობა უსახლკარო პირთა დასახმარებლად გასაწევ აქტივობებზე არ განხორციელებულა**

ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, უსახლკარობის საკითხზე კოორდინაციისა და გარკვეული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში მოქმედების აუცილებლობა, არა ერთი კვლევისა[6] და შეფასების თანახმად, უზრუნველყოფდა პოლიტიკის ეფექტურ ადმინისტრირებასა და უსახლკარობის სერვისების მდგრად მიწოდებას, მათ შორის, სათანადო საბიუჯეტო თანხების ალოკაციასა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში უსახლკარობის პრობლემის მიმართ ერთიანი მიდგომების დამკვიდრებას. თუმცა, ცენტრალური ხელისუფლება, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისად, უსახლკარობის საკითხის მოგვარებას მთლიანად ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიანდობს, რაც, მათ შორის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განცხადებით, მათ მძიმე ტვრითად აწვება და ვერ უზრუნველყოფს

---

[4] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის № 286 დადგენილება **„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“**

[5] საცხოვრისის მოთხოვნით უსახლკარო პირთა მიმართვიანობა მუნიციპალიტეტებში პრაქტიკულად უცვლელია. თბილისის მუნიციპალიტეტში 2016-2019 წლებში 4000-მდე განცხადება დარეგისტრირდა. ხოლო 2020-2021 წლის თებერვლის თვეში ეს რიცხვი მხოლოდ 850-მდე გაიზარდა. ქუთაისში სოციალური საცხოვრისი დაარსების დღიდან 75 ოჯახს აქვს დაკავებული (277 ადამიანი) ;2019 წელს, ქუთაისის მერიაში საცხოვრისის მოთხოვნის 130 განცხადება იყო რეგისტრირებული, რაც 2020-2021 ის თებერვლის თვის მონაცემებით მხოლოდ 121 განცხადებითაა გაზრდილი. 2018 წლიდან ბათუმის მუნიციპალიტეტს საცხოვრისის მოთხოვნით 250-მა ადამიანმა მიმართა. უახლესი ინფორმაცია მიმართვიანობის შესახებ ბათუმის მუნიციპალიტეტმა არ მოგვაწოდა.

[6] „უსახლკარობასთან ბრძოლა ინსტიტუციური ჩარჩო და ხელისუფლების დონეებს შორის უფლებამოსილებების გადანაწილება“. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2020. გვერდი: 18. იხილეთ აქ: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%9D_(1)_1594200361.pdf ბოლოს ნანახია: 04/03/2021.

პრობლემასთან ღირსეულ გამკლავებას.[7] კოორდინაციის ამგვარი მექანიზმი არ შემუშავებულა არც პანდემიის პირობებში. ცენტრალურმა ხელისუფლებამ უსახლკარო პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა კვლავ მუნიციპალიტეტებზე დატოვა დამოკიდებული. აღნიშნულს გვიდასტურებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი, რომლის თანახმადაც, „რამდენადაც მათთვის ცნობილია, მუნიციპალიტეტები თავისით ახორციელებდნენ“ შესაბამისი დახმარებების ადმინისტრირებას. [8]

4. **მუნიციპალიტეტებმა პანდემიის პირობებში დახმარება მხოლოდ თავშესაფრების და სოციალური საცხოვრისების ბენეფიციარებს გაუწიეს**

ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციის ნაკლებობის, შეზღუდული ბიუჯეტებისა და სტატისტიკის არ არსებობის პირობებში, მუნიციპალიტეტების მიერ ორგანიზებული დახმარებები, მხოლოდ ღამის გასათევ თავშესაფრებში და სოციალური საცხოვრისში მაცხოვრებელ უსახლკარო პირებზე გადანაწილდა. შესაბამისად, ასეთი ბენეფიციარების რაოდენობა ძალიან მცირეა.[9]



აღსანიშნავია ისიც, რომ ღამის გასათევი თავშესაფრები და სოციალური საცხოვრისები ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არსებობს, შესაბამისად, ცხადია რომ ქვეყნის მასშტაბით არა

---

[7] “საქართველოში ადამიანების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლის შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა“. გვერდი 7. იხილეთ აქ: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/140732/rekomendaciebi ბოლოს ნანახია: 4 მარტი, 2021 წელი.

[8] ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 9 თებერვლის წერილი, № 01/1819; მიუხედავად სამინისტროს მიერ აღნიშნულისა, თბილისის მერია ადასტურებს, რომ მათ განუწყვეტელი კოორდინაცია ჰქონდათ.

[9] ააიპ ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს, 2021 წლის 15 თებერვლის #დ24-29 წერილი; ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 15/02/2021 წლის # 01-4421046427. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 5 თებერვლის # 15-01210361522 წერილი. (თბილისის ლილოს თავშესაფრის მონაცემი ასახავს 2020 წლის დეკემბრის თვეს).

ერთი უსახლკარო პირი დარჩა დახმარებებს მიღმა. გარდა ამისა, გაწეული დახმარებები არ არის საკმარისი და ძალიან მცირეა. სამი მუნიციპალიტეტიდან მოძიებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ არ მომხდარა პანდემიის შედეგებთან გასამკლავებლად დამატებითი თანხების მოძიება და სპეციალიზებული პროგრამების შექმნა.[10] ბათუმის, ქუთაისის და თბილისის მუნიციპალიტეტებში, უსახლკარო პირთა დახმარება, ღამის გასათევ თავშესაფრებში სადეზინფექციო-დერატიზაციის სამუშაოებით განისაზღვრა.[11] ბათუმის მერიამ დეზინფექციას სამჯერადი კვების და სამედიცინო მომსახურების ღონისძიებებიც დაუმატა, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის თავშესაფარში, დამატებით საინფორმაციო მასალაც განთავსდა[12]. (თუმცა, არსებული ინფორმაციით, ამან ვერ უზრუნველყო ბენეფიციარების ინფიცირებისგან დაცვა და თბილისის ლილოს თავშესაფრის 43 ბენეფიციარი მაინც დაავადდა კორონავირუსით ნოემბერი-დეკემბრის თვეებში).[13]

დასკვნა

სახლში დარჩენის მნიშვნელობა პანდემიასთან ბრძოლაში პრიორიტეტულ რეკომენდაციად განისაზღვრა, თუმცა არა მათთვის, ვინც ამ რეკომენდაციის შესრულება უსახლკარობის გამო ვერ შეძლო. უსახლკარობის სახელმწიფო პოლიტიკის განუსაზღვრელობა იწვევს პრობლემის მასშტაბის ზრდას, სტატისტიკისა და სერვისების არ არსებობა კი უსახლკარო პირთა მდგომარეობას ამწვავებს იმგვარად, რომ უსახლკარობის დამარცხება, ადამიანების სოციუმში ღირსეულად დაბრუნება, მიუღწეველი მიზანი ხდება. კრიზისების პერიოდში, აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება. სახელმწიფო ხედვიდან გამოტოვებული არა ერთი უსახლკარო ჯგუფი, პანდემიასა და ჯანმრთელობის დაცვის ამოცანის წინაშე მარტოა დატოვებული, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ფორმალურია და ვერც ამ ჯგუფების იდნეტიფიცირებას და სრულად დანახვას და ვერც მათი უსახლკარობის დაძლევას ახერხებს.

---

[10] იქვე

[11] ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 15 თებერვლის 01-4421046427 წერილი

[12] ააიპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში დაცვის მიზნით გასატარებელი გადაუდებელი და სტანდარტული ღონისძიებების გეგმა“ დამტკიცებული 2020 წლის 22 ოქტომბერს, მუნიციპალური თავშესაფრის დირექტორის მიერ. დოკუმენტის ნომერი: ა-297.

[13] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, 2021 წლის 15 თებერვლის 15-02110361522 წერილი